ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11

(საქონლის შესყიდვა - თანმდევი მომსახურებით)

ქ.ფოთი 31 ივლისი 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გრიგოლ ღვანიას სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ზურაბ მესხის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუ შესყიდვის ერთეულოვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი", ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს სტრუქტურული მასალებს (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სტრუქტურული მასალების შესყიდვა, კერძოდ: კარები და ფანჯრები თანმდევი მომსახურებით (იხ. დანართი №1).

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – **44200000** – სტრუქტურული მასალები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი – **4421100** – ფანჯრები; **44221200** - კარები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4989 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა)** ლარს, დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ო. ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლა.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ო. ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	ინდივიდუალური მეწარმე
დირექტორი	
გრიგოლ ღვანია	ზურაბ მეხი
მის: ქ.ფოთი თამარ მეფის ქ. №15	მის: ქ. ფოთი, მიქაბერიძის ქ. N3
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE45LB0115117451547002, ბ/კ LBRTGE22, ს/კ № 215140327	ა/ა GE91BG0000000248360300, ბ/კ BAGAGE22, ს/კ № 42001000990

სტრუქტურული მასალების (კარები, ფანჯრები) შეძენა

ფასების ცხრილი

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ-ბა	ერთეულის ღირებულება		საერთო ღირებულება	
				საქონელი	თანმდევი მომსახურება	საქონელი	თანმდევი მომსახურება
1	2	3	4	5	6	7	8
1	ხის კარი	ცალი	1	800	172,00	800	172
2	რკინის კარი	ცალი	2	1005	95,00	2010	190
3	ხის ფანჯარები	ცალი	5	100	11,40	500	57
	ჯამი:					3310	419
	ზედნადები ხარჯი 8%					265	33,52
	ჯამი:					3575	452,52
	გეგმიური დაგროვება 5%					179	22,63
	ჯამი:					3754	475
	დღგ 18 %					676	86
	ჯამი:					4429	560
	მთლიანი ღირებულება (ლარი)					4989	

ი/მ ზურაბ მესხი

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ო. ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლა

დირექტორი გრიგოლ ლეჟავა